საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3145/01
30/03/2022

3145-01-2-202203301701

შპს „NEW STAR"-ს

მის: ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალავერდი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 16 მარტის №5673 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალავერდში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, №1 ცხრილში მითითებულია, რომ საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 208 000 ტ/წ-ს (100 ტ/სთ). ამასთან, ამავე ცხრილში აღნიშნულია, რომ საწარმოში მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა იქნება წელიწადში 213 000 ტონა. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო რეჟიმისა (წელიწადში 260 დღე, დღე-ღამეში 8 საათი) და საათობრივად გადასამუშავებელი ნედლეულის გათვალისწინებით (100 ტ/სთ), დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს საპროექტო წარმადობა;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ხოდაშენისხევის ბოლოს მოწყობილი 120 m^3 მოცულობის მქონე ტბორიდან, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ტბორის მესაკუთრისა და მასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044